ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ114.114222016**
თარიღი:**20/07/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში მდებარე 1653,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.39.04.075, ადმინისტრაციული შენობა) დემონტაჟის პირობების დადგენის თაობაზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული/ ჩამოსაწერი შენობა-ნაგებობების დემონტაჟთან დაკავშირებით დემონტაჟის/ ლიკვიდაციის პირობების დამდგენი და დემონტაჟის თაობაზე შემოსული განცხადებების შემსწავლელი კომისიის 2022 წლის 05 ივლისის სხდომის N2 ოქმის საფუძველზე, კომისიის მიერ დადგენილი პირობების დამტკიცების მიზნით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში მდებარე 1653,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.39.04.075, ადმინისტრაციული შენობა) სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების სრული დაცვით. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N239 დადგენილების ,,საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე" მე- 5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს სადემონტაჟო ქონების გადაცემით მიღებული სამუშაოების შესაბამისი ღირებულებების სანაცვლოდ.

2. სამუშაოები უნდა დასრულდეს დემონტაჟის ნებართვის მიღებიდან 90 დღის ვადაში.

3.შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

4. სამუშაოების მწარმოებლის მიერ დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები, უნდა გაითვალისწინოს მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების დაზიანების თავიდან აცილების საკითხი.

5.სადემონტაჟო სამუშაოები უნდა იწარმოოს კანონმდებლობით და სტანდარტების შესაბამისი ყველა ნორმის დაცვით.

6.შენობების სრულად დემონტაჟის განხორციელებამდე სამუშაოების მწარმოებლის მიერ უნდა მოხდეს სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა, რათა პერიმეტრზე არ მოხდეს გარეშე პირთა შეღწევა;

7.შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესში სამუშაოების მწარმოებლის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი ინფრასტრუქტურის დაცვის საკითხები, კერძოდ სამუშაოების შემსრულებლის მიერ ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული ელემენტის (საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალგაყვანილობის სისტემა, სანიაღვრე სისტემა და სხვა) დაზიანების შემთხვევაში აღადგინოს და მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში საკუთარი ხარჯებით.

8.სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ სახელშეკრულებო ვადებში სამუშაოს მწარმოებლის მიერ მოხდეს ტერიტორიის გრუნტის ზედაპირზე მოსწორება და სამშენებლო თუ სხვა ნარჩენებისაგან მისი სრული გათავისუფლება.

9.შემსყიდველის მიერ სამუშაოების შესრულების პროცესში რაიმე ხარვეზის აღმოჩენისას, სამუშაოს შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას ხარვეზი შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

10.კონტროლი სამუშაოების წარმოების პროცესში განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

11.სამუშაოების შემსრულებელი ვალდებულია კონტროლის დროს კონტროლის (ინსპექტირების) ჯგუფი უზრუნველყოს შესაბამისი პირობები

12.პირველი პუნქტით განსაზღვრულ მასალებში არ იგულისხმება სახურავის მოწყობისთვის გამოყენებული მასალები (თუნუქი, ხე და ა.შ) და ასევე მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯრები, მისი აღწერა და დასაწყობება უნდა განხორციელდეს მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ ადგილას და უფლებამოსილ პირთან ერთად.

13.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურმა (მ/შ ნათია ბასიაშვილი) უზრუნველყოს დემონტაჟის სამუშაოებთან დაკავშირებით ნებართვის გაცემის პროცედურების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

14.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (გელა გოგიტიძე) უზრუნველყოს საჯაროდ გამოაქვეყნოს, შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

15.განცხადებების მიღება განხორციელდეს ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე (კანცელარია). მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N141

16. განცხადებები განიხილება: განცხადებების შემოტანისათვის განსაზღვრული

ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღეს.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან ზოიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი